ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:№97. 9723080001
თარიღი:21/03/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი N-03

დ. ლენტეხი. 20/ მარტი /2023წ

მიმდინარე წლის 20 მარტს დღის 14 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 16 (თექვსმეტი) წევრი.

1. **მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გერმან ქურასბედიანი, ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი, იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი მედიკო ხვისტანი.**

   ბიუროს სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

   ბიუროს სხდომის დაწყებამდე ბიუროს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ ბიუროს წინმსწრები იყო აიპიების გეგმა-პროგრამების განხილვის პროცესი და ისევ გეგმა-პროგრამებთან დაკავშირებით არის უამრავი ხარვეზი, მაგრამ მიღებული გვაქვს გადაწყვეტილება - რომელი აიპიც შემოიტანს სრულყოფილ და გასწორებულ გეგმა- პროგრამას, იმას დავამტკიცებთ და რომელ აიპსაც ექნება ხარვეზიანი გეგმა- პროგრამა იმას არ დავამტკიცებთ.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: სამსახურის უფროსი გერმან ქურასბედიანი/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: სამსახურის უფროსი მედიკო ხვისტანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

5. არასამაწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბის დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

6. სხვადასხვა.

   ბიუროს სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

   ღია კენწისყრით

   მომხრე 16 და წინააღმდეგი -0

   გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

   ბიუროს წევრებმა მოისმინეს წარმოდგენილი ანგარიშები. შეკითხვები დაუსვეს მომხსენებლებს.

   ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა მადლობა გადაუხადა სამსახურის უფროსებს - ამ შემთხვევაში მომხსენებლებს კარგი თანამშრომლობისთვის და ნაყოფიერი მუშაობისთვის. აქვე აღნიშნა, რომ აუცილებლად გათვალისწინებული იქნება აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები ქონების აღწერასთან დაკავშირებით და თხოვნით მიმართა საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარეს აქტიურად ჩაერთოს ამ მიმართულებით.

   აზრი გამოთქვა: მევლუდ ლიპარტელიანმა- ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კულტურის სამსახურმა მცირე დაფინანსების ფარგლებში შეძლო ძალიან ბევრი და საინტერესო ღონისძიების ჩატარება. ასევე არის უამრავი წარმატება როგორც სპორტის, ასევე კულტურის სფეროს სხვადასხვა კუთხითაც.

   ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ოთხივე სამსახურმა წარმოადგინა კარგი ანგარიში და მიაჩნია, რომ ამ სამსახურების ანგარიშები უნდა შეფასდეს დადებითად.

   (ანგარიშები თან ერთვის)

   ღია კენჭისყრით

   მომხრე 16 და წინააღმდეგი -0

   გადაწყვიტეს:

   1. წარმოდგენილი სამსახურების - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის;

   2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის;

   3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის და

   4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ანგარიშები შეფასდეს დადებითად.

7. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი - არასამაწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბის დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   ბიუროს წევრებმა მომხსენებელს დაუსვეს შეკითხვები. მან პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

   აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა - გაერთიანებული იქნება ოთხი რაიონი,

დაფინანსება იქნება თანაბარი და ამ რაიონები გაერთიანებით წინ წავა რაგბის განვითარება

გარკვეული მსჯელობის შემდეგ ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართება 22 მარტს დღის 12 საათზე დღის წესრიგით:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს მერიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირების 2023 წლის სამოქმედო გეგმა-პროგრამების დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: კულტურის სამსახურის მ. ხვისტანი და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

/თანამომხს: საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

3. **არასამაწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბის დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

4. **სხვადასხვა.**

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს სხდომა დამთავრდა 17 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი